ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №46-ი

2021 წლის 24 დეკემბერი

ქ. ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატისათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრისა და განაწილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლისა და ,,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის №23 დადგენილების შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

1.სამსახურებრივი საქმიანობის ხელშეწყობისა და ეფექტურად წარმართვის მიზნით,ლაგოდეხის მინიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან, საკრებულოსა და საკრებულოს აპარატისათვის განისაზღვროს საწვავის ყოველთვიური ლიმიტი და გადანაწილდეს შემდეგნაირად:

ა)საკრებულოს თავმჯდომარე -400 ლიტრი(ევრო დიზელი);

ბ)საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე-200 ლიტრი (ბენზინი პრემიუმი);

გ)საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-100 ლიტრი(ბენზინი პრემიუმი);

დ)კომისიის თავმჯდომარე-50 ლიტრი(ბენზინი პრემიუმი);

ე)საკრებულოს აპარატი-50 ლიტრი(ბენზინი პრემიუმი).

მუხლი 2

საწვავის მიმღებ პირებს, სამსახურებრივი ავტომობილის არქონის გამო დაერთოთ ნება ისარგებლონ საკუთარი ან მათ სარგებლობაში მყოფი ავტომობილებით.

მუხლი 3

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების საკითხების სპეციალისტს კონსტანტინე ჭანკოტაძეს.

მუხლი 4

მერიის საფინანსო სამსახურს დაევალოს იხელმძღვანელოს ამ ბრძანებით.

მუხლი 5

განკარგულება ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან-2023 წლის 1 იანვრამდე.

მუხლი 6

ამ განკარგულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატისათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრისა და განაწილების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის №46-ი განკარგულება.

მუხლი 7

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

საკრებულოს თავმჯდომარე კარლო ჯამბურია